5 7
2003
ეროვნული ბიბლიოთეკა

№2 2003 წელი

დილა

ყმაწვილი უნდა სწავლობდეს
საცნობლად თავისადაო:
ვინ არის, სიდამ მოსულა,
სად არის, წავა სადაო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია კობალაძე

მამულიშვილობა

როდესაც ამართლებ
აღმზრდელთა იმედებს,
უმცირესს იმკი და
ასჯერ მეტს იმეტებ,
როდესაც შენს ირგვლივ
შენც ებრძვი სიავეს
და ცდილობ ყოველთვის
სწორი გზით იარო,
როდესაც გიქებენ
ქცევას და ზრდილობას,
ეს არის, პატარავ,
მამულიშვილობა!
შენითაც ეყრება
ფესვები დიდ მიზანს,
შენითაც იწყება
ცხოვრების დიდი გზა,
შენი სწავლითა და
ბეჯითი მოქცევით
ბარტყობს და ფრთებს ისხამს
ზღაპრული ოცნება,
რომ გაითავისებ
სხვის დარდს და ჭრილობას,
იცოდე,
ეს არის
მამულიშვილობა!..

ტარიელ ხავთასი

გაზაფხული

მზემ ღრუბლები მიმოფანტა
და სხივები გადმოფინა,
თოვლი ისე გაიპარა,
თითქოს სულაც არ ყოფილა.
ცრემლი სცვივათ ღაპალუპით
ლოლოების გამდნარ მძივებს,
ჩიტუნებმა ბუდეები
ხის ტოტებზე ჩაამწკრივეს.
კვირტებს გააქვთ ტკაცატკუცი,
ველზე აა თვალებს ნაბავს
და ზეებმა შიშველ ტანზე
გადაიცვეს მწვანე კაბა.

დალი გაზმიშვილი

ალამაზებს სიყვარული

ეფერება იას ია,
მზე უკოცნით თვალებს,
ციდან წვიმა მოიმღერის:
ნეტავ მას, ვინც დამლევს.
ცელქი სიო კორდს მოირბენს,
მაყვალს უთვალთვალებს,
ბილილები, სამყურები,
დედამიწას რთავენ,
ალამაზებს სიყვარული
მინდორსა და მთა-ველს!

მხატვარი ზაურ დეისაძე

ბესიკ კაკალიძე

რობგი

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრა წლის ვიქნებოდი, როდესაც ოჯახში ნება დამრთეს, ძაღლის ლეკვი მომეყვანა. არ ვიცი, რატომ, მაგრამ არჩევანი ტაქსას ჯიშზე შევაჩერეთ. კინოლოგთა კლუბში ჩამწერეს და რიგში დამაყენეს. სახელზეც ბევრი ვიფიქრეთ და ამ ჯიშის ძაღლების სიდამბლისა და სიგრძის გამო, ინგლისური სიტყვა — ლონგი მოვიფიქრეთ, რაც ქართულად გრძელს ნიშნავს. მოუთმენლად ველოდი მის დაბადებას, ხშირად მესიზმრებოდა კიდეც.

და აი, ნანატრი დღეც დადგა. ლეკვის გაჩენის ამბავი ტელეფონით შეგვატყობინეს და მამაჩემთან ერთად მის მოსაყვანად გავეშურე. ლონგის გენეალოგია შემოვსეს, ხუთი ლეკვიდან ერთი მამალი ამომარჩევინეს და სახლში გამომატანეს.

ძაღლიან პატარა იყო. გარეგნობით ვირთხას უფრო ჰგავდა, ვიდრე ძაღლს. უმეტესად ეძინა, მაგრამ ღამით და-ძმა და დედა ენატრებოდა და წკმუტუნს იწყებდა, თითქოს ტირისო.

— ლონგ, ლონგ, — საწოლის გვერდით, ნოხზე მწოლიარეს დასამშვიდებლად ხელს გადავუსვამდი. თუ არ გაჩერდებოდა, ავიყვანდი და ბალიშზე, თავთით დავიწვენდი ხოლმე. როგორც კი ჩემს სიახლოვეს იგრძნობდა, მყისვე გაჩერდებოდა, ახლოს მომიჩოჩდებოდა, ჩამეკვრებოდა და ასე გვეძინა.

დრო გადიოდა, ლონგი იზრდებოდა და გრძელდებოდა. ცომივით გაბრტყელებულ, გაწელილ ყურებსა და წაწვეტებულ ცხვირ-პირს უზომოდ გონიერი გამოხედვის თვალები უმშვენებდა. ვაყკაცურ გულ-მკერდზე ორი მოკლე, მოკაკული მსუქანი თათი სასაცილოდ ეკიდა. მილივით გრძელი ტანი ასევე მოკლე თათებზე ედგა, ხოლო მის მშვენიერებას წვრილი, გრძელი კუდი აბოლოებდა. მას ოჯახის ყველა წევრი უყვარდა, მაგრამ, მაინც, მთელი სიგრძე-სიგანით ჩემზე იყო მოკედლებული.

შეძლებისდაგვარად ვასწავლე ჯდომა, წოლა, გადაგდებული ნივთების უკან მოტანა. ძალიან ჭკვიანი და დამჯერი გამოდგა. კბილებს რომ იცვლიდა, ხელის რეზინის ესპანდერი ვუყიდე, რომელსაც რგოლი დავარქვი. ლონგისათვის ყველაზე საყვარელი სათამაშო სწორედ რგოლი გახდა. შინ რომ დაბრუნდებოდი, ძაღლი აუცილებლად წინ დამიდგებოდა, სიხარულისგან წკმუტუნსა და ადგილზე ცმუკვას იწყებდა, ჩემს ბრძანებას დაბადული ელოდა.

— ლონგ, რგოლი! — ამის თქმა იყო და, თათების ფხოჭნა-ფხოჭნით ადგილს მოსწყდებოდა, მთელ ბინას დაირბენდა, ესპანდერს მონახავდა, კბილებს შუა მოიქცევდა და ჩემთან მოვარდებოდა. წინ დამდგებოდა. მე კი ესპანდერს ხელს ჩავავლებდი და ძაღლიანად მაღლა ავწევდი. ლონგი პირს არ უშვებდა, ასე ჩამოკიდებული ყოფნა ძალიან მოსწონდა. აქეთ-იქით ვაქანავებდი, შემდეგ იატაკზე დავსვამდი, რომ პირი გაეშვა და რგოლი ისევ გადაეგდო. ასეთი გართობა არასოდეს ჰბეზრდებოდა, შეეძლო უსასრულოდ ეთამაშა, მაგრამ საკმარისი იყო შინ ცუდ ხასიათზე დაბრუნებულიყავი, რომ ლონგი თავისი ნოხიდან არც ადგებოდა, მხოლოდ თავს ასწევდა და მანუგეშებელი მზერით შემომცქეროდა.

მე მასში ჭეშმარიტად დიდ მეგობარს ვხედავდი. ჩემს დამოკიდებულებას ისიც გრძნობდა და სიყვარულზე ერთგულებით მიპასუხებდა. გვერდიდან არ მშორდებოდა. ვმეცადინეობდი, ტელევიზორს ვუყურებდი, თუ სამზარეულოში ვიჯექი, აუცილებლად ჩემს ფეხებთან გაწვებოდა და ქვემოდან ზემოთ შემომცქეროდა. მეძინა და, უსათუოდ საწოლის გვერდით უნდა ხძინებოდა.

ლეკვს მე და ჩემი დაიკო რიგრიგობით ვასეირნებდით, მაგრამ, როგორც კი ცოტა წამოიზარდა, კარებთან მივიდოდა და წკმუტუნს იწყებდა — გარეთ გამიშვითო. ეზოში ჩაირბენდა, თავის საქმეს მოითავებდა და უკან ამოდიოდა. კარებს გარედან ბრჭყალებით მოფხოჭნიდა, გვატყობინებდა, მოვედი და შემომიშვითო.

ლონგი ერთი წლის გახდა. ეზოში ჩასვლას მოუხშირა. ქუჩის ძაღლებთან მორბენალს ფანჯრიდან ვუყურებდი. თავისზე სამი თავით მაღალი, შავი ძუკნა მოსწონდა, ყოველნაირად ცდილობდა, სატრფოს გული მოენადირებინა, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა. სახლში დასჯილივით თავნაქინდრული ბრუნდებოდა, თავის ნოხზე გაიშხლართებოდა და უხასიათოდ იწვა.

გაბრძელება მომდევნო გვერდზე

22881

ერთხელ საშინლად გაბრაზებული დაბრუნდა. ნოხისკენ წალასლასდა და დაწვა. მივუახლოვდი, წინ დავუდექი:

— ლონგ, დამშვიდდი, ყველაფერი კარგად იქნება, — გამხნევება ვცადე, შემდეგ მისი საყვარელი ბრძანება გავეცი, — ლონგ, რგოლი! — არაფერი გამომივიდა. ისეთი პირქუში გამოხედვით შემომხედა, ხელის გადასმა ვერ გავბედე და მისი მოფერება ჩუსტით ვცადე. მან ერთი დამიღრინა და ჩუსტს კბილები გაჰკრა.

ტკივილით არ მტკენია, მაგრამ მისი ასეთი საქციელი სილის გაწვნის ტოლფასი იყო, რასაც ნამდვილად არ ველოდი. აღვშფოთდი, ძალიან მეწყინა. კედელზე მიყუდებულ ცოცხს ხელი წავავლე და ერთი მაგრად წავუთაქე. მერე ცოცხი მივაგდე და ეზოში ოთახში შევედი. ცოტა ხანში კარის ფხოჭნის ხმა შემომესმა, ძაღლი გარეთ გასვლას ითხოვდა. მივუახლოვდი და გავუშვი, მე კი ფანჯრიდან დავუწყე ყურება. ლონგმა ეზოში ჩაირბინა, ჭიშკარს გასცდა და ქუჩაში გავიდა. მივხვდი, რომ რაღაც ხდებოდა, თავქუდმოგლეჯილი ქუჩაში გავვარდი. ძაღლი ძუნძულით მიუყვებოდა ტროტუარს.

— ლონგ! ლონგ! — შევძახე.

ერთი წამით შეჩერდა, დაკვირვებით შემომხედა და სირბილი განაგრძო. ვერ დავეწიე.

ლონგი აღარ დაბრუნებულა.

მხატვარი
ედუარდ ამბოკაძე



ცვალის საქართველო

ლაშა კურტანიძე
ღია სათემო სკოლა „ზარი“ — „ზანზალაკის“ მოსწავლე, 9 წლის

მერცხლის მოყოლილი ამბავი

გაზაფხულის მზიანი დღე გათენდა. გარეთ ნუშის და ტყემლის ყვავილების სუნი ტრიალებდა. ფანჯრიდან კაკუნი შემომესმა. მივედი და რას ვხედავ: მერცხალი მოფრენილა! მან პაწია, შავი ფრთები მოკეცა, ფანჯრის რაფაზე მოიკალათა და იმ ამბის მოყოლა დაიწყო, თბილ ქვეყანაში ყოფნის დროს რომ გადახდა:

სოფელი, სადაც მერცხალმა გამოიზამთრა, ტყის პირას ყოფილა გაშენებული. იქვე ახლოს მდინარე ჩამოედინებოდა, რომელსაც არ უფრთხილდებოდნენ და აბინძურებდნენ. სოფელში მცხოვრები ბავშვები მდინარეში ჭყუმპალაობით ირთობდნენ თავს. ერთმა ბიჭუნამ ცურვის დროს ბინძური წყალი გადაყლაპა და მოიწამლა. ვერაფერს შველოდნენ. მეზობლის მოხუცმა ქალმა ავადმყოფის მშობლებს ურჩია, მაღალ მთაზე რომ ბალახია, იმის ნაყენი უშველისო. მერცხალმა გაიგო, გაფრინდა, მოწყვიტა მთის მწვერვალიდან სამკურნალო მცენარის ფოთლები და ბიჭუნას საწოლთან დაყარა. ყველა გაკვირვა ფრთოსანის სიკეთემ. ბიჭი გამოჯანმრთელდა და მერცხალს დაუმეგობრდა.

როცა მერცხლის სახლში დაბრუნების დრო დადგა, ბიჭი დაემშვიდობა და სთხოვა, ყველა ბავშვისთვის მოეყოლა ეს ამბავი, რათა გაფრთხილებოდნენ მდინარეებს.

მაკა ჩიქვაიძე
187-ე საშუალო სკოლის მოსწავლე, 10 წლის

სიცოცხლეს რა სჯობს

ირგვლივ მთებია
იმ მთებზე ასვლის
სურვილი მიპყრობს...
მთის წვერზე ვდგავარ,
ცას ვეხები ორივე ხელით.
ღმერთის სახება მელანდება
ღრუბლებში თითქოს,
ამ უსასრულო ქვეყანაზე
სიცოცხლეს რა სჯობს.

ლალი ჯაფარაშვილი

ბიჭი

თავზე მხურავს
კოხტა კეპი.
ხამი წლის ვარ,
განა ცოდა,
სულ მკლავებზე
ვიუურები, —
ნეტავ ვინმეს
დამაჯიდა!
რომ ვაცილებ
მამას დილით,
ეზოს ვზვერავ
მამალიეიი! —
ეგებ ვინმემ,
ჩემმა კბილამ,
თუ გინდ თეზვომ,
გინდა ილამ,
საჯიდაოდ
დამიძახონ,
რა ბიჭიც ვარ
მერე მნახონ!
...აი, ხომ ვთქვი, —
ვიდაც მიხმობს,
ეგებ ეგეგა,
იქნებ მიხო!..
ვინ ხარ მეთქი? —
ეგეგს დაო...
ეოეოს როეორ
ვეჯიდაო!
რად მინდოდა
მაგის მოსელა, —
ეთამაშოს
ნანიკოსა!

მანანა კაკაჩია

თურმე ძნელია

გადავწყვიტე, სახლში გავხსნა
თოჯინების სკოლა,
აბა, ვის არ გაახარებს
მცოდნე შვილის ყოლა.
ჯერ ავხსენი „აი ია“,
მერე — „თითი, თოხი“...
ზოგი უცებ იმახსოვრებს,
ნერვებს მიშლის ზოგი.
მახწავლებლად ეოფნა დიდად
სამნელია, თურმე,
აწი აღარც ვიცელქებ და
აღარც ვიხმაურებ.

ზოია ვაშაკიძე

ჩვენი მარი

ეს პატარა მარიამი
საქართველოს თვალი არი,
უყვარს მზე და ვარსკვლავები,
მთები მარად მწვანიანი,
მარი ჩვენი ყველ-მინდვრების
ეაეაზოა ხალიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანანა ჯოხარიძე

ძროხა ელიზას სიზმარი

ძროხა ელიზამ საოცარი სიზმარი ნახა: ვითომ უცხო მხარეში იყო, ამწვანებული გორაკებით გარშემორტყმულ ტბასთან. ტბაში წყლის მაგივრად რძე ლივლივებდა. ირგვლივ პეპლები დაფრინავდნენ და ფუტკრების გაბმული ზუზუნი ისმოდა. თვითონაც პეპელასავით იყო მორთული: ყელს მეწამული აბრეშუმის ბაფთა უმშვენებდა, თავზე კი ყვავილების გვირგვინი ედგა. იქვე, შორიახლოს, ანკარა ნაკადული მორაკრაკებდა.

ელიზა ნაკადულთან მივიდა და წყალს დაეწაფა. მერე ქორფა ბალახიც მიირთვა და ის იყო, შინ დაბრუნება დააპირა, რომ უეცრად შეკრთა — შინისაკენ გზა არ იცოდა.

ელიზა გორაკზე მიმავალ ბილიკს აუყვა; როდესაც ზემოთ ავიდა, დაინახა თეთრწვერა მოხუცი, რომელიც ქვაზე ჩამომჯდარიყო და ხელებით ჯოხზე დაყრდნობილი შემოსცქეროდა.

— გამარჯობათ, — უთხრა ელიზამ, — ჩემი სახლის გზას ვერ მიმასწავლით?

მოხუცმა უცნაურად გაუღიმა და უპასუხა:

— მიგასწავლი, თუ ერთ სურვილს შემისრულებ.

— რა სურვილს?

— აი, იმ მდელოდან ყველაზე ლამაზი ყვავილი მომიტანე.

ელიზამ მის წინ გადაშლილ ველს გახედა და სუნთქვა შეეკრა. თვალი მოსტაცა ათასფრად აფერადებულმა, რაღაც უცნაურ, გამჭვირვალე ნისლში მოლივლივე, არნახული სილამაზის ყვავილმა.

— მე მოვიტან ყველაზე ლამაზ ყვავილს! — თქვა ელიზამ და ფერდობზე დაეშვა.

მოხუცმა ღიმილით გააყოლა თვალი.

ელიზა ყვავილებს შეერია. ოჰ, რა საოცრება იყო. რა მშვენიერება და სინატიფე! ირგვლივ გამაბრუებელი, მომნუსხველი სურნელი ტრიალებდა. ყველა ყვავილი ერთმანეთზე ლამაზი ჩანდა. ელიზა პირისფერ ვარდთან შეჩერდა. ვარდის ოდნავ გაშლილი კოკორი ცვარს დაეფარა და მზის სხივებზე ძვირფასი სამკაულივით ბრწყინავდა.

„რა წარმტაცია!“ — გაიფიქრა აღტაცებულმა, ვარდი ფრთხილად მოწყვიტა და მოხუცს წაუღო...

გზის ნახევარიც არ ჰქონდა გავლილი, რომ უცებ შეჩერდა. ვარდი მდელოზე ბევრად უფრო მომხიბვლელი ჩანდა. აქ კი... აქ თითქოს პეწი დაჰკარგოდა.

ელიზა უკან გამობრუნდა და ისევ იმ ერთადერთი ყვავილის ძებნას შეუდგა. „აი, ეს არის, ეს! რა ნაზია, რა ჰაეროვანია! განა მას სილამაზით რომელიმე შეედრება?!“ — ამ ფიქრით, თეთრი, გამჭვირვალფურცლებიანი ყვავილი მოწყვიტა და გორაკისაკენ გაემართა. მაგრამ, ჰოი, საოცრებავ! ეს ის მაინც არ იყო, რასაც ეძებდა.

ელიზა მდელოზე დაბრუნდა. დადიოდა ყვავილებს შორის, წყვეტდა ყველაზე ლამაზს და კვლავ გზიდან ბრუნდებოდა, რათა უკეთესი მოეძებნა. მაგრამ იმ ერთადერთ ყვავილს ვერა და ვერ პოულობდა. ბოლოს უმშვენიერესი თაიგული შეუგროვდა. ადგა და მოხუცს წაუღო.

— სწორად მოიქეცი, — უთხრა მოხუცმა და თაიგულს დაკვირვებით დააცქერდა — ამ ყვავილებში ერთი უეჭველად იქნება ყველაზე ლამაზი.

— მაინც რომელი? — ის იყო, ელიზას უნდა ეკითხა, რომ კიდეც გამოეღვიძა...

გომურში ბნელოდა და ნაკელის მძიმე სუნი ტრიალებდა. ჯერ ისევ ღამე იყო. ელიზამ ერთი ამოიოხრა და კვლავ ძილს მისცა თავი.

დილით, როცა აყვავებულ მდელოზე ხასხასა ბალახს შეექცეოდნენ, ელიზამ მეგობრებს თავისი სიზმარი უამბო:

— იცით, მინდოდა მეკითხა, რომელია ყველაზე ლამაზი ყვავილი, მაგრამ რა დასანანია, რომ სწორედ ამ დროს გამომეღვიძა. ახლაც არ მასვენებს ფიქრი: ნეტავ, მართლა რომელია ყველაზე ლამაზი?

— ის, რომელიც ყველაზე გემრიელია! — თქვა ხარმა ზაქრომ და ცვრიანი, ნოყიერი ბალახის ბლუჯა პირში გადაუძახა.

მხატვარი გიორგი ჩაჩანიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მარიამ წიკლაური-ძიძიგური

მომღერალი

ბოდო მდგრის არიას,
ნიჭიერი ქალია.
სოლისტია ოჭრის,
გაა ბერგა სოფელი.

ორი ჩიტი

ოთხი ცალი წიწიბურა
ორმა ჩიტმა გაუო ამურად,
მერე ნამი დალიეს,
ეთამაშნენ კალიებს,
იწუწავეს რუში,
დედიკო რომ მოენატრათ
ნაეხუტნენ გულში.

ახტა-დახტა კალია

ახტა-დახტა კალია
მოცეკვავე ქალია.
— რა იცეკვა?
— რეტი.
თავს დაესხა რეტი.

ნინო არსენიშვილი

გაზაფხული

დათბა და აბურცხიდან
იწიელა წიწილამ,
ბალახიც ამოჩნდა მიწიდან.
ზაზაარში წახვლის წინ
იტირა, იწვიმა
და თოვლიც ეორია იმ წვიმას...
და მაინც აბურცხიდან
გადმოხტა წიწილა.

ჰელენა ბეხლეროვა

ნემსიყლაპია

ეველა მიცნობს,
ეველა ხვდება,
რომ მეერი ვარ
შუბისფრთების,
როცა მზეზე
გაეშლი ფრთებს,
გადავეფრენ
ტბებს და წყლებს,
მაშინ ისე მეიჩქარი,
ვით ბატარა თეითმფრინავი.

პოლონურიდან თარგმნა
ჯემალ ბელიძემ

მხატვარი ნანა სანაია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაფხულის ცხელი დღე

ელენე ქრესუელის მოთხრობის მიხედვით

ქალაქში იშვიათად ვხვდებით პეპლებს. ყველაზე მეტად მათი გამოჩენა ბავშვებს უხარიათ.

იმ დღეს ბენმაც თვალი მოჰკრა დიდ ყავისფერ პეპელას, რომელსაც ფრთების ირგვლივ წითელი და თეთრი ზოლები დაჰყვებოდა. მან ეს ლამაზი პეპელა ზაფხულის მცხუნვარე მზისგან აბრიალებულ მესერზე ნახა.

— შეხედე, შეხედე...! — გასძახა ბენმა უფროს დას მერის.

— რა არის!? — ჰკითხა მერიმ.

— პე-პე-ლაა, პე-პე-ლაა! — ორივე ერთად აყვირდა დედის გამოჩენისთანავე, რომლის გვერდითაც პატარა ლუსი მოხოხავდა. ლუსის სიარულიც შეეძლო, მაგრამ ხოხვა მეტ სიამოვნებას ჰგვრიდა და სიარულზე მუდამ უარს ამბობდა.

პატარა ლუსი, ხელპირმოთხუპნილი და მუხლებგადაყვლეფილი დიდი კმაყოფილებით მიუახლოვდა პეპელას.

— დედა, დედა, წინათ პეპელა ჩვენს ეზოში არასოდეს გვინახავს, — თქვა ბენმა...

ამასობაში პეპელაც გაფრინდა. ლუსიმ ამაზე ღრიალი მორთო.

— მოიცა, ლუსი, ნუ ტირი, ახლავე დავიჭერთ პეპელას, — აწყნარებდა უფროსი ძმა.

— შვილებო, ქალაქში ძნელია პეპლების დევნა; სჯობს სოფელში წავიდეთ...

— მამას ვთხოვოთ, ქალაქგარეთ გაგვიყვანოს, — შეეხვეწნენ ბავშვები.

ცოტა ხანში მამამ მანქანა გამოიყვანა, ჩასხა ცოლ-შვილი და გაეშურნენ სოფლისაკენ. მამამ ბავშვებს პეპლების დასაჭერი ბადე მისცა და თან დაარიგა, რომ დაიჭერთ, მალევე გაუშვითო.

ჭიშკარს მიუახლოვდნენ თუ არა, იგრძნეს, რომ ეზოში ყვავილების დამათრობელი სურნელი ტრიალებდა. დედ-მამა იქვე მდელოზე ჩამოსხდნენ. პატარა ლუსის უკვე მოესწრო მიწაზე ხოხვა და მუხლებიც გასჭუჭყიანებოდა.

ბენი და მერი პეპლებს დასდევდნენ, მაგრამ სულ რამდენიმე დაიჭირეს. უმეტესად ამაოდ იქნევდნენ ბადეს. ეკალ-ბარდებში სირბილში ბენს ფეხი გაეკაწრა, მერის ღობეზე ძრომისას ჯინსი გამოეხა. მდინარეს რომ მიადგნენ, პეპლებმა წყლის ზედაპირზე დაიწყეს ფრენა, თვალებში ცრემლჩამდგარი ბენი და მერი კი მხოლოდ ხელს უქნევდნენ ნაპირიდან.

მერი ყვავილების კრეფას შეუდგა.

— იცი რა, ბენ, დედას ყვავილებს მივართმევ და დახეული ჯინსის გამო იქნებ არ გამიჯავრდეს.

მალე ბავშვებმა მშობლებთან მოიყარეს თავი.

— ვერც პეპლები დავიჭირეთ; ჯინსი გავხიე, ფეხი გავიჭერი... სამაგიეროდ აქ ღელეში ვიბანავეთ, ყვავილები დავკრიფეთ... წავიდეთ სახლში! — ერთმანეთს არ აცლიდნენ ბენი და მერი.

— აბა, ჩავსხდეთ მანქანაში და წავიდეთ!

ნახვამდის, სოფელო, ნახვამდის, პეპლებო!

ქალაქში რომ დაბრუნდნენ, ეზოში შესულებმა ისევ დაინახეს ის წითელ-თეთრზოლებიანი მოფარფატე პეპელა, რომელსაც წითელ ადმირალს ეძახიან.

ინგლისურიდან თარგმნა

გიული ლიპარტიამ

მხატვარი მანანა მორჩილაძე

პეპლები

ადმირალის შავი, ქერცლებით დაფარული მუხლუხები ზაფხულში ჭინჭარზე ან ორმელიმე სხვა მცენარის ფოთლებზე ცხოვრობენ. მერე პარკს ახვევენ და ულამაზეს პეპლებად იქცევიან.

სახელი მას ადმირალივით წითელი ზოლების გამო შეარქვეს.

აპოლონი ძალიან ლამაზი პეპელაა. ეს სახელი მას ძველ ბერძენთა ღმერთის აპოლონის პატივსაცემად უწოდეს. აპოლონის ფრთის სიგრძე 70-90 მმ-ია. თუ მოულოდნელ დროს შეაშფოთებთ, ზურგზე დაეცემა, წრიპინა ხმას გამოსცემს და თავის დასაცავად ფეხების ქნევას მოჰყვება.

მაქაონს ადვილად შეიცნობთ დიდი (85 მმ-მდე) ფრთებით და შავ-ყვითელი მითოლოგიის გმირის, ტროის ომის მონდაარქვეს. საქართველოში მას „მერცხალ-

ფარშავანგის თვალს ზურგზე დიდი ლაქა აქვს, რომელიც თვალს მოგაგონებთ. ამ პეპლის გაშლილი ფრთების სიგრძე 150 მმ-ს აღწევს. ასე რომ, როცა იგი დაფრინავს, შეიძლება ჩიტიც კი გვეგონოს. იგი უფრო ტროპიკულ რაიონებშია გავრცელებული.

ჩრჩილიც პეპელაა. მის შესახებ ყველა დიასახლისმა იცის. იგი ტანსაცმლის კარადაში იბუდებს, შალს და ბეწვეულს ეტანება, იქ დებს კვერცხებს და ახალგამოჩეკილი ჩრჩილები ამ ტანსაცმლით იკვებებიან.

ადამიანმა პეპლის მოშინაურებაც შეძლო. დიდი ხნის წინათ ჩინელებმა აღმოაჩინეს და გამოიყენეს აბრეშუმის პეპლის (თუთის აბრეშუმხვევიას) საოცარი თვისება: ჭუპრად გადაქცევამდე ჭია გარშემო აბრეშუმის ძაფის პარკს იკეთებს. პარკის ახვევას ჭია სამ დღეღამეს ანდომებს. ამ ხნის განმავლობაში იგი 1500 მეტრამდე სიგრძის ძაფს გამოყოფს.

ძველ რომაელებს სჯეროდათ, რომ პეპლები დაცვენილი ყვავილებისგან გაჩნდნენ.

პეპლების ფრთების მოხატულობა ისეა შეხამებული გარემოს, რომ მტერს მათი გამორჩევა უჭირს. ზოგ პეპელას ფრთების მხოლოდ ზედა ნაწილი აქვს მოხატული, ქვედა კი დამცავი შეფერილობისაა. ჩვეულებრივ, ასეთი პეპელა ზედა შეფერილობას ამზეურებს, მაგრამ, როგორც კი საფრთხეს შეაამჩნევს, დამცავ შეფერილობას იშველიებს — ფრთებს აკეცავს და ვერც ერთი ჩიტი ვერ გაარჩევს, პეპელაა თუ იმ ხის ფოთოლი, რომელზეც იგი ზის. პეპლების ფრთები ბუსუსა ქერცლებითაა დაფარული. იშვიათად პეპელას ეს ბუსუსები სრულიად არა აქვს, ამ დროს მისი ფრთები გამჭვირვალეა.

პეპელას გრძელი მილის მსგავსი ხორთუმი აქვს, რომლითაც ყვავილის წვენს — ნექტარს წუწნის.

ზოგიერთი სახეობის პეპელა რამდენიმე ცალ კვერცხს დებს, ზოგი კი — რამდენიმე ასეულს. გარკვეული პერიოდის შემდეგ ამ კვერცხებიდან მუხლუხოები ჩიჩეკებიან. მუხლუხოები მარტო ან ჯგუფ-ჯგუფად ცხოვრობენ, შემდეგ ჯერ ჭუპრებად იქცევიან, ბოლოს კი — პეპლებად. პეპლების სიცოცხლის ხანგრძლივობა განვითარების სხვადასხვა სტადიაში სხვადასხვაა. ზრდასრული მწერი ცოცხლობს რამდენიმე საათიდან რამდენიმე კვირამდე, მოზამთრე პეპელას კი შეუძლია იცოცხლოს რამდენიმე თვეც.

ფრინველების უმეტესობა შემოდგომის დადგომისთანავე თბილ ქვეყნებში მიფრინავს. ასე მოგზაურობს ზოგიერთი პეპელაც. პეპელა მონარქი ყოველ გაზაფხულზე მექსიკიდან კალიფორნიაში მიფრინავს. მისი ევროპელი თანამოძმეც, გაზაფხულდება თუ არა, ალპებისკენ იღებს გეზს. მან ხმელთაშუა ზღვას უნდა გადაუფრინოს.

აი, როგორ მოგზაურობს პეპელა დანაიდა: გაზაფხულზე ახალგაზრდა პეპლები მექსიკაში მრავლდებიან. ახალგამოჩეკილი დანაიდები ცოტა ჩრდილოეთით გადაინაცვლებენ — იქ ეძებენ საკვებს და უკვე იქ მრავლდებიან; მომდევნო თაობა კიდევ უფრო ჩრდილოეთით გადადის და ა.შ. როცა აცივდება, პეპლები თავს ერთად იყრიან, ოც კილომეტრზე მეტი სიგრძის „პეპლოვან ხახს“ ქმნიან და თბილ სამხრეთში მიფრინავენ.

ნოდარ შოშიტაშვილი

თოფი საქართველოში

თოფი მეთოფეს და მეთოფე სოფელსაო.

შეიარაღებისა და იარაღსაჭურველის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი ეტაპი იყო ცეცხლსასროლი იარაღის დამზადება. ეს ისეთი სახის იარაღია, რომლის მოქმედების პრინციპით დენთის, ანუ თოფისწამლის აფეთქების შედეგად ჭექითა და ხმაურით ლითონი, ძირითადად ტყვია გაიტყორცნება.

დენთის გამოგონების პირველობა, ყველასათვის ცნობილია, ჩინელებს ეკუთვნით. რაც შეეხება ცეცხლსასროლი იარაღისთვის მის გამოყენებას, ამ საქმეში პირველობად ზოგს არაბები მიაჩნიათ, ზოგს ბიზანტიელები, თვით ჩინელებიც, რომლებმაც მეცამეტე საუკუნეში ცეცხლსასროლი ბამბუკის მილები გამოიგონეს. ევროპაში ცეცხლსასროლი იარაღის შესახებ პირველ ცნობას იძლევა ოქსფორდის უნივერსიტეტში დაცული, 1306 წლით დათარიღებული ერთ-ერთი ხელნაწერი, რომელზეც მინიატიურულად გამოსახულია ასეთი საბრძოლო საშუალება.

ცეცხლსასროლი იარაღებიდან ყველაზე გავრცელებული თოფი იყო. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის საჭურველის ფონდში დაცულია ამ იარაღის შესანიშნავი კოლექცია.

თოფი, ჩვენი მეზობელი ხალხებისა და ქვეყნების გავლენით, ადრევე გახდა ჩვენთვის ცნობილი. უკვე XV საუკუნიდან, საქართველოში მისი ბრძოლაში გამოყენება საკმაოდ ინტენსიური ჩანს. მით უმეტეს, რომ ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში, გადმოცემებსა და წერილობით წყაროებში დამოწმებულია უხვი მასალა, რომელიც ადასტურებს, რომ თოფისწამლისა და ტყვიის დამზადება საყოველთაოდ იყო გავრცელებული საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. საჭირო რესურსებიც უხვად მოიპოვებოდა. ეს იყო გოგირდი, გვარჯილა და ხის ნახშირი. მთაში ბოლო დრომდე შემონახული იყო შუაში ამოღრმავებული, წამლის სანაყი ქვები. საქართველოს მუზეუმებში დაცული ცეცხლსასროლი იარაღის უადრესი ნიმუშები მეთექვსმეტე საუკუნით თარიღდება და, აქედან მოყოლებული, ჩვენ შეგვიძლია თვალი გავადევნოთ მის თანდათანობით სრულყოფას.

საქართველოში თოფებს ამზადებდნენ როგორც ქალაქ ადგილებში, ისე სოფლებში, განსაკუთრებით მთიან მხარეებში. გუდამაყარში სოფელ დუმაცხოში განთქმული ყოფილა მჭედელი პაპო დუმაცხოელი და მისი ნახელავი ცხრადარიანი, მაღალი ღირსების მქონე თოფები. ამას ხალხური ლექსიც მიუთითებს:

„დუმაცხოს პაპო მჭედელო,
ნეტავი დედაშენსაო
შახვალ შაიფრობ მაჟარსა,
ცხრა-ცხრას შაუმსობ ღარსაო.“

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მთელს ხევსურეთში იცნობდნენ ერეკლე II-ის თანამედროვეს, მეთოფე ოსტატს სამნა მჭედელს.

XVI საუკუნეში საქართველოში შესამჩნევად გახშირდა ცეცხლსასროლი იარაღის, განსაკუთრებით კი თოფის ხმარება, რაც ციხესიმაგრეების კონსტრუქციის ცვლილებაშიც აისახა. როდესაც ისტორიულ ადგილებში ყოფნის დროს ციხესიმაგრეებს დაათვალიერებ, შეგიძლია მიახლოებით მისი აგების დროც განსაზღვრო. ამ საუკუნეში და მის შემდგომ აგებულ საფორტიფიკაციო (თავდაცვით) ნაგებობებში ანუ ციხესიმაგრეებსა და კოშკებში, აუცილებლად სათოფურები იქნება დატანებული, უფრო ადრე კი სალოდეებს ანუ ლოდების, დიდი ქვების სატყორცნელებს აკეთებდნენ.

საქართველოში სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახის თოფი იხმარებოდა. ეს იყო ყირიმი, ანუ ხირიმი, ჯაზაირი, სიათა, მაჟარო, მაჭახელა, ხარა, ჩარმა და სხვ.

საერთოდ, თოფი სამი ძირითადი ნაწილისაგან შედგებოდა: ლულა, ე. წ. სახაზინე ნაწილი ანუ ჩახმახი და კონდახი. ხშირად თითოეულ ნაწილს თავისი ხელოსანი ჰყავდა. ვთქვათ, ლულა საზღვარგარეთიდან შემოდიოდა, დანარჩენ დეტალებს კი ქართველი ოსტატები ამზადებდნენ და თოფიც საბოლოოდ აქ აეწყობოდა. ზოგჯერ პირიქით, ჩახმახი შემოჰქონდათ; ან კიდევ მთლიანად, ყველა ნაწილს აქ ამზადებდნენ.

ასე რომ, მთელი XVI-XIX საუკუნეების განმავლობაში თოფები საზღვარგარეთიდანაც შემოჰქონდათ და აქ, ჩვენშიც ამზადებდნენ. ხშირად ლულები შემოჰქონდათ ევროპიდან ყირიმის გზით, ამიტომ ამ ლულებით დამზადებულ თოფებს საქართველოში „ყირიმი“ ანუ ხირიმი დაერქვა.





ეროვნული ბიბლიოთეკა

თოფმა, სანამ უნიფიცირებულ, ქარხნულ სახეს მიიღებდა, განვითარების რამდენიმე ეტაპი გაიარა. დენთის აფეთქების პრინციპის მიხედვით იცვლებოდა გასროლის ხერხები.

პირველ ეტაპზე ანუ უმარტივეს თოფებში გასროლისას დენთი საფალეე ხვრელთან გავარვარებული ლითონის ღერს მიჰქონდა. შემდგომი, ასევე უმარტივესი ხერხი იყო უბრალო ბერკეტის სასხლეტის გამოყენებით ფთილით გასროლა. XV-XVI საუკუნეებში სასხლეტ-საკეტ მექანიზმს ზამბარა გაუკეთეს. შემდგომი ეტაპია ე. წ. ბორბალ-დოლისებრი მექანიზმიანი ჩახმახი კაჟისა და კვესის კომბინაციით, ხოლო XVI საუკუნის II ნახევრიდან საყოველთაოდ გავრცელდა კაჟიანი თოფი — ჩახმახის ყბა კაჟით და კვესით, რომელიც XIX საუკუნის დასაწყისიდან ფისტონიანმა თოფებმა შეცვალა.

საქართველოს მუზეუმებში დაცულ კოლექციას თუ ყურადღებით დავუკვირდებით, დავინახავთ, რომ ჩვენში დიდი ყურადღება ექცეოდა თოფების როგორც წმინდა ტექნიკურ, ანუ საბრძოლო ღირსებებს, ისე მოჩუქურთმება-შემკობას. ისევე როგორც ევროპაში, თოფებზე ჩვენთანაც გამოჰყავდათ სხვადასხვა სახის ორნამენტები თოფის კორპუსზე — კონდახსა და ლულაზე. ჩვენთან გაცილებით ხშირად იყენებდნენ ძვალს. ქართული თოფების უმეტესობა სპილოს ძვლის დუგლუგით, კონდახის ბოლოთი სრულდება. ასევე უხვია სადაფით ინკრუსტაცია, ანუ მორთვა, ოქროს ზარნიშით გამოყვანილი მრავალფეროვანი ორნამენტები. ხშირად თოფები მორთულია ლითონის (განსაკუთრებით ვერცხლის) თხელი ფირფიტებით შესრულებული მცენარეული, გეომეტრიული, ზოომორფული (ფრინველებისა და ცხოველების) გამოსახულებებით.

ფითილიანი თოფი



კაჟიანი თოფი

ფისტონიანი თოფი

კაჟიანი თოფის მოქმედების პრინციპი

ზოგჯერ თოფის სადაურობის, მისი მფლობელის ვინაობის გარკვევაში გვეხმარება მასზე გაკეთებული წარწერა. დაუკვირდით, რამდენი რამ შეიძლება გავიგოთ ერთ-ერთი თოფის წარწერებიდან: ***„თოფო ყირიმო მეფისა ბაქარისავო“, „თოფო იხილე მირთმევა მეფის კონსტანტინესად,“ „ჩყნ წელსა დღეიდამ თ~ა ნიკოლოზ ბაგრატიონ მუხრანსკის ვარ“.*** ახლა ვნახოთ, რამდენის დამტევია ერეკლე II-ის თოფის წარწერა: ***„მე ვარ ავი მუსაიფი, კახთ ბატონი ერეკლესა“...***



ასე რომ, ქართველებმაც შეიტანეს თავიანთი წვლილი ცეცხლსასროლი იარაღის უმნიშვნელოვანესი სახის — თოფის განვითარების ისტორიაში.

მხატვარი გია ლაფაური

გურამ ყორანაშვილი

ქართლის მეფე ფარსმან I

ძველი ქართლის (იბერიის) ერთ-ერთი გამორჩეული მეფე იყო ფარსმან I — ფარნავაზიანთა დინასტიის წარმომადგენელი. მის შესახებ მოგვითხრობს „ქართლის ცხოვრება“, კერძოდ, ლეონტი მროველისეული „ცხოვრება ქართველ მეფეთა.“ ფარსმან პირველის შესახებ სანდო ცნობებს გვაწვდიან რომაელი ისტორიკოსი ტაციტუსი (55-116) და დიონ კასიუსი (დაახლ. 153-235). ეს იმიტომ მოხდა, რომ ჩვენმა მეფემ გარკვეული წვლილი შეიტანა იმდროინდელი მსოფლიოს პოლიტიკურ პროცესებში.

დასახელებული ისტორიკოსების მიხედვით, ფარსმან I ზეობდა ჩვ. წ. I ს-ის 40—60-იან წლებში. იგი იყო ძე მითრიდატე მეფისა. თავი გამოიჩინა ჯერ კიდევ უფლისწულობის დროს, ე. ი. მაშინ, როცა სამეფო ტახტი არ ეკავა. საქმე ის არის, რომ ამ დროს ძალზე დასუსტებული სომხეთი რომსა და პართიას შორის ცილობის საგნად იყო ქცეული. 35 წელს რომაელთა მხარდაჭერითა და წაქეზებით უფლისწულ ფარსმანის სარდლობით ძველ ქართველთა (იბერთა) ჯარი სომხეთში შეიჭრა, დაამარცხა პართიელები და დაიკავა მთელი ქვეყანა დედაქალაქ არტაქსატითურთ. პართიელები ვერ შეურიგდნენ სამეფოს დაკარგვას და კვლავ გამოგზავნეს დიდი ლაშქარი უფლისწულ ოროდეს სარდლობით. იბერთა და პართიელთა შორის მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა. ფარსმანმა პირად ორთაბრძოლაში დაჭრა და გააქცია ოროდე. ამ ამბავმა, ცხადია, სასწორი ჩვენი წინაპრების სასარგებლოდ გადახარა. სომხეთის სამეფო ტახტზე დაჯდა ფარსმანის ძმა მითრიდატე.

რაღაც მიზეზის გამო იმპერატორ კალიგულას (37-41 წ.წ.) დროს რომაელებმა მითრიდატეს მეფობა წაართვეს, მაგრამ მომდევნო იმპერატორმა კლავდიუსმა 47 წელს სომხეთში კვლავ იგი გაამეფა. ეს მოხდა ომის შედეგად, რომელშიც რომაელებთან ერთად ქართველებიც (იბერები) მონაწილეობდნენ.

51 წელს ფარსმან I არ შეეპუა რომაელებს და სომხეთის დასაკუთრების მიზნით ამ ქვეყანაში ილაშქრა. გარდა ამისა, ჩანს, ძმებს შორის დაპირისპირებამ იჩინა თავი. მითრიდატემ თავი შეაფარა ქალაქ გარნისის ციხესიმაგრეს, რომელსაც რომაელთა გარნიზონები იცავდნენ და ხელთ იგდო იგი. ფარსმანმა მითრიდატე მოაკვლევინა და სომხეთის მეფედ თავისი ძე რადამისტი დასვა. ამით ფარსმანმა თვალსაჩინო ნაბიჯი გადადგა სომხეთის შემოსაერთებლად. ცნობილია ისიც, რომ ქართლის აღმოსავლეთით მდებარე ალვანეთი ფარსმანის პოლიტიკურ მორჩილებაში იყო.

ერთი სიტყვით, ფარსმან I-ის ზეობის დროს ამიერკავკასიაში ჰეგემონია (პოლიტიკური ბატონობა) ქართლს (იბერიას) ეკუთვნოდა. ამ მდგომარეობას მან მიაღწია ძლიერი სამხედრო ძალით. იბერიელებს ამ დროს 80 000-მდე მებრძოლი ქვეითის და ცხენოსნის გამოყვანა შეეძლოთ. ჩრდილოეთიდან ფარსმანმა გადმოიყვანა ალანთა (ოსთა წინაპრების) ჯარი და თავის მხარეზე აბრძოლებდა ალვანელთა ლაშქარსაც. სწორედ ასეთი მნიშვნელოვანი სამხედრო ძალის წყალობით იყო, რომ ფარსმან I დიდი წარმატებით ებრძოდა ძლიერ პართიას და ზოგჯერ მაშინდელ ზესახელმწიფოს — რომსაც ეურჩებოდა.

საერთოდ, საქართველოს პოლიტიკურ და სამხედრო ისტორიაში ფარსმან I-ის ღვაწლი მართლაც თვალსაჩინო იყო.

ნახატები მულტსერიალიდან „მოგზაურობა ისტორიაში“

მხატვარი გია ლაფაური

ანა
ქამუშაძე
14 წლის

ბავშვის საქართველო

ნინო
თოფჩიშვილი
დავით აღმაშენებლის
სკოლა-ლიცეუმის მოსწავლე

მგოსანი

მზის ათინათი დაჰკანკალებს
ალვის ოქროსფერ,
მთრთოლვარე ფოთოლს,
აქ, ხეივანში ხშირად უვლია
მგოსანს ფიქრიანს,
სევდიანს, ობოლს.

ალვის ფოთოლი
თრთის და კანკალებს,
მას ეშინია ბნელი სიკვდილის,
მას ეშინია რომ გახდეს უცებ
ერთი ნაწილი მარადისობის.

საქართველო

საქართველო ერთია,
გავუფრთხილდეთ მარად!
ჩვენც ერთ მუჭად შევიკრათ,
ქვეყნის გასახარად.

ელიზო
კოხრეიძე
სამტრედიის რ-ნის
სოფ. იანეთი, 12 წლის

ლუმა
მესხი,
13 წლის

გიორგი გაინაზიშვილი,
10 წლის

თიკო ურიდია,
8 წლის

გათუმის აკადემიური გიმნაზია

თორნიკე ბერიძე, 7 წლის

მეთევზის ცოლი

ერთი ციცაბო კლდის თავზე, პატარა სახლში, ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ცხოვრობდა. ქმარი მეთევზე იყო. ყოველ ცისმარე დღეს ჩაუყვებოდა ხოლმე სახლიდან ზღვისკენ მიმავალ გრძელ, ვიწრო ბილიკს და ყოველ ცისმარე დღეს შეაცურებდა თავის ნავს ოკეანის მშფოთვარე, მარილიან წყლებში ქორჭილას, ვირთევზას, ფარგას, დროდადრო კი ასთაკვებისა და კიბორჩხალების დასაჭერად.

როდესაც ქმარი ზღვაში გადიოდა, მეთევზის ცოლი შინ რჩებოდა ხოლმე პატარა სახლში, ციცაბო კლდის თავზე. დილაობით იგი კარებიდან გაჰყურებდა დამრეც ბილიკს, რომელსაც ქმარი მისგან შორს მიჰყავდა. საღამოობით კი ფანჯარასთან მდგომი ეგებებოდა შინისკენ მომავალი ქმრის ლანდს, რომელიც სულ უფრო და უფრო დიდდებოდა.

ცხოვრება იყო მშვიდი და, უმეტესწილად, საამური. მეთევზეს უყვარდა თავისი ცოლი, უყვარდა ზღვა და იქ დაჭერილი თევზი. ცოლსაც ძალიან უყვარდა თავისი ქმარი, მაგრამ არ უყვარდა ის ზღვა, რომელიც ყოველდღე აშორებდა ქმარს. მან იცოდა — როგორი მძვინვარე და საშიში შეიძლება იყოს ზღვა და ისიც იცოდა, რა მძიმე ხელობაა მეთევზეობა, რომელიც ხშირად უფრო მეტს გართმევს, ვიდრე იძლევა.

და მაინც, დიდხანს ცხოვრობდნენ ბედნიერად. მეთევზის ცოლი თავიდან აშორებდა ხოლმე ქმრისა და ზღვის გამო მოწოლილ დარდს. დღეები სავსე იყო იმ საქმეებით, რისი კეთებაც მას უყვარდა: აგროვებდა ხამანწკებს ვახშმისთვის, კერავდა ნაირფერ ფარდებსა და მხიარულ სუფრებს მათი პატარა საცხოვრისის გასახალისებლად. საღამოები კი სახლის მოწესრიგებასა და ქმრის დახვარებაში გადიოდა, რომელიც ზღვაში დახეულ ბადეებს აკერებდა ხოლმე.

შებინდებისას, როცა უკვე ბადეებიც დაკერებული იყო და პატარა სახლიც დალაგებული, ახალგაზრდა წყვილი ბუხართან მოეწყობოდა და აღტაცებით სახავდა თავის დიდ მოლოდინთან დაკავშირებულ გეგმებს: ყმაწვილი ქალი სიამოვნებით ქსოვდა პაწაწინა წინდებს, ქუდებს და თბილ სამოსს, მისი ქმარი კი მონდომებით თლიდა ხის პატარა სათამაშოებს და მათ საწოლთან მისადგმელ კოხტა აკვანს, რომელშიც დამდეგ გაზაფხულზე დაბადებული ბავშვი უნდა ჩაეწვინათ.

და ცხოვრებაც ასე უშფოთველად გაგრძელდებოდა, რომ არა ის საშინელი ქარიშხალი, რომელიც აზვირთებული ზღვიდან მოულოდნელად შემოიჭრა მათს ცხოვრებაში.

სწორედ იმ საზარელი გრიგალის ამოვარდნისას იყო, მეთევზე შინ რომ აღარ დაბრუნდა. სამი დღე და ოთხი ღამე შავი ლაქებით იყო ცა დაფარული. ქარი და წვიმა დათარეშობდა ციცაბო კლდიდან ვიდრე ოკეანის შორეთამდე.

მხატვარი
რუსუდან ფეტვიაშვილი

მეთევზის ცოლი ყოველ დილას გაეხვეოდა რამეში და თავსხმა წვიმაში ძლივს მიბედავდა ხოლმე კლდის ციცაბო კიდემდე იმის იმედით, რომ ქვევით, ყურეში, მშვიდობიანად დაბრუნებული ქმრის ნავს მოჰკრავდა თვალს. შემზარავი ქარიშხლის ყოველ ღამეს კი ახალგაზრდა ქალი იმედიანად იდგა ფანჯარასთან ანთებული ფარნით ხელში.

მაგრამ არც მეხუთე ღამეს და არც მეექვსე დღეს მეთევზე შინ აღარ დაბრუნებულა. მწუხრის მეშვიდედ დადგომისას კი, როცა უკვე ქარიც მიყუჩდა და წვიმამაც იკლო, მეთევზის ცოლი მოჩვენებასავით იდგა ფანჯარასთან თავისი ფარნით ხელში და ჩუმად ტიროდა.

ქარიშხლის შემდეგ ყმაწვილი ქალი დიდხანს იყო მარტო პატარა სახლში, კლდის თავზე. აღარც კარებთან მიდიოდა, აღარც ფანჯრიდან გაჰყურებდა ზღვას. აღარც ოთახს ამშვენებდა მხიარული ფარდები და ნაირფერი სუფრები, აღარც პაწაწინა წინდები, ქუდები და თბილი სამოსი იქსოვებოდა აღტაცებული გულით. ნაცვლად ყოველივე ამისა, ქალი დღენიადაგ მდუმარე დაიარებოდა და მეთევზის საყვარელი ნივთებისაგან ცლიდა სახლს: გაჰქონდა ნახევრად დაკერებული ბადეები, შეგროვილი ნიჟარები, მარგალიტისტარიანი დანა, რომელსაც მეთევზე გამორიყული ნაფოტებისაგან მოხდენილი ზღვის არსებების გამოსათლელად ხმარობდა ხოლმე. ყოველი ეს მძიმე მოსაგონარი მან უხმოდ სადღაც გამოკეტა და თან გულში აღთქმაც დადო, რომ დაიგიწყებდა ზღვასაც და მასთან ერთად მეთევზესაც, რომელიც უყვარდა.

და მაინც, მას დამდამობით ესმოდა, როგორ ეხეთქებოდა ლოდებს შორიდან მოვარდნილი ტალღები იქ, სადღაც ქვემოთ. იგი ვერც თვითონ გააწყობდა რაიმეს ზღვის ხმაურთან და ვერც გაზაფხულზე დაბადებული ბავშვის პაწაწინა ყურებს დაიცავდა ტალღების ხმის ექოსაგან.

მერე კი დათბა და მეთევზის ცოლს, როცა ღამღამობით თავის ახალშობილ პირმშოს დაჰყურებდა, ზღვის ხმაურიდან სუსტად ჩაესმოდა უკვე ნახევრად მივიწყებული ხმა და, რაც უფრო იზრდებოდა ბიჭი, მით უფრო ძლიერდებოდა ღამის ტალღებიდან ამომავალი ეს ჩურჩული.

და ბოლოს, ბავშვის დაბადებიდან ოთხი წლის თავზე, დადგა დღე, როცა მეთევზის ცოლი შებინდებისას ზღვისპირა წყნარ ტბორთან გატაცებით მოთამაშე თავის პატარა ვაჟს წააწყდა. თავზე მას გაცვეთილი, ბილიკზე ნაპოვნი ძველი ქუდი ჩამოეფხატა, პატარა ხელში კი მაგრად ჩაებღუჯა წყლიდან გამორიყული დახეული ბადის ნაგლეჯი და თან უხმოდ დასცქეროდა უძრავ ტბორში უამრავ ზღვის პაწაწინა არსებას. სიტკბონარევი მწარე ტკივილით ეცნო ყმაწვილ დედას პატარა ბიჭის სახეზე აღბეჭდილი ეს უწყინარი ცნობისმოყვარეობა და გატაცებული მზერა. მას ხომ ბევრჯერ უნახავს ეს გამომეტყველება მეთევზის სახეზე, რომელიც ასე ძლიერ უყვარდა.

ჩამავალი მზის შუქზე შვილის წყნარად მომზირალმა დედამ პირველად მოიგონა თავისი ქმარი მშვიდი გულით იმ პირქუში და საშინელი ქარიშხლის შემდეგ და იგრძნო, რაც უნდა ექნა: ხელი ჩაჰკიდა შვილს, ტბორს ჩამოუარა და თან გზადაგზა მონდომებით უჩვენებდა, სათითაოდ უსახელებდა ზღვის პატარა არსებებს, შემდეგ იგი ციცაბო კლდეზე მდგარი სახლისკენ წაუძღვა პატარა ბიჭს, სადაც მათ ერთად მორთეს ფანჯრები ნაირფერი ფარდებით, გადააფარეს მაგიდას მხიარული სუფრა და სათუთად ამოალაგეს მეთევზის საუნჯე ყუთიდან, რომელშიც ის დიდხანს იყო გადანახული.

როცა ყველაფერი დალაგდა, დედამ პატარა შვილი კალთაში ჩაისვა და გულმოდგინედ დაუწყო სწავლება, როგორ დაეკერებინა დახეული ბადეები. ასე კერვა-კერვაში, მოუთხრო მას ამბავი მამაცი ჭაბუკი მეთევზისა, რომელსაც უყვარდა თავისი ცოლი, უყვარდა ზღვა და იქ დაჭერილი თევზი და რომლის ხმაც ისმოდა ხოლმე ზღვის ტალღებიდან ღამის სიმყუდროვეში.

თარგმნა **მზია ბოგოლაძემ**

http://www.salomesgverdi

სალომეს გვერდი

სალომე ჩიტაძე, 6 წლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციფრების ფოკუსი

ციფრ 9-ს ის თვისება აქვს, რომ რამდენითაც უნდა გავამრავლოთ, მიღებული ჯამის ციფრების რიცხვი მაინც ცხრა იქნება, ანუ გაიყოფა ცხრაზე უნაშთოდ. მაგალითად:

9 X 123 = 1107

ამ ჯამის ოთხი რიცხვი არის 1+ 1 + 0 + 7 = 9

რამდენითაც გინდათ გავამრავლოთ ეს რიცხვი, ჯამის ციფრების შეერთებული რიცხვი მაინც 9 იქნება, ანუ გაიყოფა 9-ზე უნაშთოდ.

მაგალითად: 1107 X 25 = 5535

5535 X 2214 = 27675

ახლა შევაერთოთ ციფრები: 2 + 7 + 6 + 7 + 5 = 27

ციფრების რიცხვი (27) გაიყოფა ცხრაზე უნაშთოდ.

რაკი ეს თვისება გავიგეთ 9-ისა, ახლა გამოვიყენოთ იგი ჩვენი ფოკუსისათვის.

დაუწერე შენს ამხანაგს რამდენიმე-ნიშნიანი ციფრი, მაგრამ გულში გქონდეთ, რომ მიცემულ ციფრების ერთიანი რიცხვი ანუ ჯამი შეადგენდეს ცხრას. ავიღოთ, მაგალითად, 45, 225, 117, 2133 და სხვა. მერე სთხოვეთ, რომ ეს ციფრი, თქვენდა უჩვენებლად, გაამრავლოს რამდენითაც სურდეს. ვთქვათ, დაუწერეთ 2133 და იმან ჩუმად ეს ციფრი გაამრავლა 213-ზე. ჯამი იქნება 454229.

გახსოვდეთ, რომ აქ ჯამში მოთავსებული ციფრების რიცხვი 4 + 5 + 4 + 3 + 2 + 9 შეადგენს 27-ს, რომელიც გაიყოფა ცხრაზე.

მერე ამხანაგს სთხოვე, მიღებული ჯამის ციფრებიდან ამოშალოს ერთი ციფრი. ვთქვათ, ჯამიდან 454329 ამოშალა 3. უთხარით, რა რიცხვები დაგრჩა-თქო: თუ ამას მეტყვი, მივხვდები, რომელი ციფრი ამოგიშლია-თქო.

ის გიპასუხებთ: დამრჩა 45429. მაშინ სასწრაფოდ გონებაში შეკრიბეთ 4 + 5 + 4 + 2 + 9 = 24, რომელიც აღარ იყოფა უნაშთოდ ცხრაზე. ცხადია, რომ აკლია 3, რაც მართალია: თქვენმა ამხანაგმა ამოშალა 3.

ეს ფოკუსი ასაწერად ძნელია, მაგრამ მისახვედრად ძალიან ადვილი.

„ნაკადული“, 1909 წ., № 1

22881

ირინე უშვერიძე

თაფლის ქურდი

თაფლით სავსე კასრისაკენ
მიბაჯბაჯებს დათუნა,
ეს ყურცქვიტამ შეამჩნია,
ბუჩქში გაიფახუნა:
— უსინდისო, ყიამყრალო,
თაფლს იპარავ ტყედატყე,
ქურდბაცაცა რომ ყოფილხარ,
მხოლოდ ახლა შევატყვე...
აბურდღუნდა დათუნია,
დრუნჩი მაღლა ასწია.
შებრუნდა და დასამალად
უღრანისკენ გასწია.



რამინ ამონაშვილი

ფისო

ბევრი ტკბილი ნამცხვარი,
მომიტანეს სტუმრებმა,
ერთი დიდი ნაჭერი,
შენთვის დამეგულება,
ფისო, ფისოს გეძახი,
შენ კი არ გეყურება.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

მხატვარი თამარ საჯაია

სტუდიელ ჯენერალთან

ვაჟა ყუბანეიშვილი

პირველი „ბრძოლები“

ომი ახალი დამთავრებული იყო და მესამე-მეოთხე კლასელებს რაკი კაცურკაცობის უპირველეს ნიშნად მაგარი ბიჭობა, ანუ „ყოჩობა“ მიგვაჩნდა, ყოველი გაკვეთილის შემდეგ ერთმანეთს „მეგობრულ ჩხუბში“ თავ-ყბას ვამტკრევდით.

კლასში ერთი იმნაძე გვყავდა, უზარმაზარი იყო, ჟირაფივით დაგვყურებდა ზემოდან.

— დაუნა, წამო რა, გვეჩხუბე! — ვევედრებოდით ყოველ შესვენებაზე.

ისიც ხათრს არ გვიტეხდა, წამოგვყვებოდა, მიგვნაყავდა და, ყოჩებში პირველი, კიდევ უფრო მაღლდებოდა ჩვენს თვალში.

— სანამდე უნდა ვაცემინოთ თავიო, — მითხრა ერთხელ ჩემმა უპირველესმა მეგობარმა — ავთომ.

— სანამ არ მოვერევით-თქო, — ვუპასუხე.

მაგას ვინ მოერევაო.

ვინ და ხერხიანი-მეთქი.

მერედა სადაა ეს ხერხიო.

სადაა და... — უცბად გონი გამინათდა, — ფალავანთა კლუბში-თქო.

ასე დავიწყეთ ჭიდაობა.

კარგი მოჭიდავე რომ დადგე, დრო გჭირდება. დროც გავიდა და სკოლაც დავამთავრეთ.

დაუნა, მართალია, გაულახავი დაგვრჩა, მაგრამ „ყოჩობის“ სურვილმა ჩემი მეგობარი ავთო დიდ ავთანდილად, მსოფლიოს ჩემპიონ ავთანდილ ქორიძედ აქცია.

პირველი ლექსი

ორმოცდაათიანი წლების დასაწყისი იყო. ბავშვთა მხატვრული აღზრდის სახლში პატარებს იოსებ გრიშაშვილთან და გიორგი ლეონიძესთან გვქონდა შეხვედრა. ტაშის ჩვეულ გრიალში კონფერანსიე საქმეს შეუდგა:

— თქვენს წინაშეა სახელმწიფოს უმაღლესი პრემიების ლაურეატი, ბავშვთა უსაყვარლესი პოეტი... —არა, არა! — არ მიიღო ქათინაური ზეწამოჭრილმა ბატონმა გიორგიმ. — არა, ძვირფასებო!... ბავშვებისათვის წერა ძალიან ძნელია; ვცადე და ვერ შევძელიო. რაღა უნდა შეეძლო, დალოცვილს, როცა უკვე დაწერილი ჰქონდა: ***„ბრწყინავს ქართლი—ვარდის ბაღი, შეფრქვეული მინანქარით, იაგუნდის წვიმა დასწვიმს, სურნელების დაჰქრის ქარი; ჰგავს ალვის ხე თეთრ ჩოხაში საქორწინოდ მორთულ სიძეს და ატამი — ტურფა ყმაწვილს, აკვანში რომ გაიღვიძებს“...*** დავბერდი კაცი და თავმდაბლობისა და საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობის მსგავსი მაგალითი აღარავისთან მინახავს.

ჯერი იოსებ გრიშაშვილზე რომ მიდგა, ტაშმა და ჟრიამულმა ლამის ჭერი ჩამოაქცია: სათქმელმა სათქმელი მოიყოლია, სიმღერამ — ცეკვა, ცეკვამ — ლექსი და ორი ბერმუხაც ბავშვივით გაგვიხალისდა.

ყველა რაღაცით გამოხატავდა იმ უწვეულო დღით აღფრთოვანებას... ჰოდა, მეც ავიღე ფურცელი და დავწერე, დავწერე და კულისებისაკენ გავქანდი, მალე კონფერანსიეც მოვიძიე და ვთხოვე — სათქმელი მაქვს და მათქმევინე-თქო. მან — ბატონი ხარო და სცენაზე მიხმო, მიხმო და მეც წავიკითხე უსაშველოდ გრძელი ნაცოდვილარი, რაც ჩემი აზრით, მშვენიერ მანდილოსანთა ტრფიალი პოეტის — იოსებ გრიშაშვილისადმი იყო მიძღვნილი. ისეთი გატაცებით ვკითხულობდი, რომ დარბაზიც „დამეკარგა“, ვიდრე ბოლო სტრიქონებით გამხიარულებული პოეტი არ გადამეხვია და გადამკოცნა. ეს ჩემი პირველი „ლექსი“ იყო, „ლექსი“, რომლის ბოლო სტროფი დღესაც მახსოვს: ***„ყველა რეკორდი „ურცხვის“ მოვხსენი, დამსაჯეთ როგორც გაგეხარდებათ, თქვენც დაიღალეთ, ალბათ, მოსმენით, მეც პაემანზე მაგვიანდება“.***

ეს იყო სხვისთვის გამხელილი ჩემი პირველი ლექსი.

ბავშვები

ვაჟა ბაბუ

*

ლიკას პროექტით ოთომ
სახლი დადგა და მორთო,
ისე მორთო, რომ მღერის
იატაკიც და ჭერიც,
ისე მღერის, რომ გვიხმობს
მარად ერთგული ვიყოთ
ძველთაძველის თუ ახლის,
ყველა ქართული სახლის.



*

სანდრო იქნებ შენც ხარ,
მაგრამ
ის მაგარი სანდრო მე ვარ,
ვინც მამულის საცალფეხო
ბილიკების მოსავლელად,
ყანჩასავით,
ხან მარცხენა,
ხან მარჯვენა ფეხზე ვდგევარ.

*

ქალაო, მე არც პირველი ვარ
და არც ბოლო ბოლოებში,
ვინც მუხლს არვის მოუყრიდა —
მაგ გულში რომ შემოგეშვი;

*

ვინც რა უნდა, ისა თქვას,
ჩემსას ვიტყვი მე მაინც:
ჩემს დედიკოს ვერაფრით
შევადარებ ვერავის,
იმისთანა ლამაზი
მისი ფოტოც ვერ არის.

გიგი ჯგუფია

ელენე მირიანაშვილი

ქეთი ვაწაძე



გიორგი და შალვა ჩორგოლიანები

თამარ თეთრუაშვილი



ტატო ქაკაბაძე

ნაცა დევნოზაშვილი

ბექა ჩიტიაშვილი

საბა ცხოვრებაძე

ისხლიანის ლოგინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

6ცა/14

გიორგი ხარებავა

კახაბერ მეტრეველი

ლუიზა ჯიქია

ოთიკო ნაცვლიშვილი

ელენე მოხევეშვილი

ბილოკავთ

თათა ლაცაბიძე

ჯორჯი (ვაჟა) ბუსკაგლია-უჩანეიშვილი